

ჩვენ

პეპუსი

რედამცია კანტონური

საზღვრო მასალა უნდა იყოს გაზეთის ფასი; ერთი ფურცელი 50 მ. განტოლებით დაწერილი გარკვეულად და ერთი სტრიქონი პეტიტისა პირველ გვერდზე. წერილობითი უნდა იყოს ავტორის ვინაობა და მისამართი, დაუბეჭდვად წერილებს რედაქცია არ ინახავს. ინანება მხოლოდ დიდი მოთხოვნები.

რედაქცია ღია: დილის 9-2 საათამდე და საღამოს 5-7 საათამდე.

მისამართი: ქუთაისი, თფილისის ქ., ფიჩხაძის ს. ფოსტის ადრესი: ქუთაისი ფოსტის ყუთი № 80.

ქართველთა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ქუთაისის საგუბერნიო კომიტეტის ორგანო

დამწებებულნი ქვრივი ევგენია ასლანის ასული ჭეიშვილისა, შვილი კოდია, ძმები: ექვთიმე და სტეფანე ჭეიშვილები, რძლები: ირინე, ვსმა, ეკა და ბარბალე, ძმის შვილები: ფერემ ირაკლი და სხვები, და ალათი ვასაძისა, სიმამრი ასლან მარგოლაშვილი სიდედრი სელო მარგოლაშვილისა, ცოლის დები: შინადორა, ალექსანდრა და ფატი, ცოლის ძმა ვასილ მარგოლაშვილი, გულითადის მწუხარებით აუწყებენ გარდაცვალებას ძვირფასი და საყვარლის

ფილიფე სიმონის ძე ჭეიშვილისას,
დაკრძალვა მოხდება დღით კვირას ნაშუადღევს 4 საათზე ფრანგების ქუჩა საკუთარი სახლი დაკრძალვა საფიჩხის ეკლესიის გალავანში პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს 6 საათზედ.

29 მაისს მძიმე ავადმყოფობით გარდაიცვალა თბილისში

ალექსანდრე მიხეილის ძე ცაგარეიშვილი
რასაც ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნათესავებს, მეგობრებს და ნაცობებს გულდათუთქული დედა ივლიტა, დაი ლუბა, ძმები მიხეილ და შალვა, ბებები ანა ცაგარეიშვილისა და ირინე მოსეშვილისა, ბიძები ბართლომე, ვარლამ და იასონ მოსეშვილები ოჯახობით. მიცვალებულის დაკრძალვა მოხდება ს. გუბში 1 ივნისს ნაშუადღევს სამ საათზე.

გზატყვილის სამმართველოს მოსამხატვრული გულითადის მწუხარებით აუწყებენ საზოგადოებას, რომ 29 მაისს მძიმე ავადმყოფობით გარდაიცვალა თფილისში მათი ხელმძღვანელი და სამმართველოს უფროსი ინჟინერი

ალექსანდრე მიხეილის ძე ცაგარეიშვილი
რომლის დაკრძალვა მოხდება ს. გუბში 1 ივნისს.

ქუთაისის საკომერციო სასწავლებელი
მისაღები გამოცდები უმცროს, უფროს მოსამზადებელ, 1, 2, 3, 4 და 5 კლასებში დანიშნულია 5-დან 10 ივნისამდე, დილის 8 საათიდან.
საკომერციო სასწავლებლის დირექტორი.
2-1

გადასვლის გამო ღიკვიდაცია ხდება ყველა დარჩენილი საგალანტერეინო ხელით ნაკეთები საქონლისა.
მამაკაცის პერანგები, ვარატნიკები, გალსტუკები და ტყავის სანდლები ყველა ზომისა, მაღაზიის მოწყობილობა რომელიც შესდგება „პოლკებიდან“ დაძვებიდან და შკაფებიდან. მისამართი: ქარვასლის ქუჩა მაღაზია „უნივერსალი“ ძმ. ჩილინგაროვების სახლი ვაჟთა გიშნაზის პირდაპირ.
6-3.

მ. დუნდუას ასულის სახალხო მართული გიმნაზია პროფ. სიონაშვილი
ამით აცხადებს, რომ მოსწავლეთა მიღება მაისის 27-დან დაიწყება. მომავალ სამოსწავლო წლისთვის ვაიხსნება მორიგი

მეექვსე კლასი.
ვაკანსია ყველა კლასებშია. აქვე არის გახსნილი საზაფხულო კურსები, სადაც შეისწავლიან სუფთა ხელ საქნარს და ფესხაცმელების კრვას, თხოვნები მიიღება დილის 9-2 საათამდე.
მისამართი: ბალახანის ქ., ყოფილი სახაზინო პალატის პირდაპირ.
6-3

ეპიფი მედიცინისა საზღვარ გარეთელი უნივერსიტეტი
ფ. ი. კაკიტაშვილი
დებულობს ავადმყოფებს ქალთა, საზარდის (ტრიპერი, სიფილისი. ექიმობა 606 და 914) და შინაგანთა. პუშკინის ქუჩა, საკუთარი სახლი. პუშკინის ფოტოგრაფიის პირდაპირ.

ეპიფი ბიბორ ნიკიფორაძე
მედიცინის დეპუტატი
დებულობს ავადმყოფებს დღით 9-2 საათამდე, საღამოს 4-7 საათამდე. ძველი თბილისის ქუჩა, ქორქაშვილის სახლი.
24-15

ეპიფი ნ. ა. მხიძე
დებულობს ავადმყოფებს დღით 9-3 საათამდე. ივანოვის ქუჩა, ლუჩაძის სახლი.
24-11

დანიშნულ საფრთხე.
დენიკინმა ჩრდილო კავკასიის რესპუბლიკა გაანადგურა და აზერბეიჯანისა და საქართველოს რესპუბლიკებს ემუქრება.
დენიკინი—საშინელი საფრთხეა: ის ცეცხლითა და შახვილით მოვა, ქართველ ერს დედამიწის პირიდან ალგვის და ვინც მის შურისძიებას გადურჩება, ნას კისერზე მონობის უღელს დადგამს.
რაც კი რამე გავაჩნია, — სიმინდი, პური, ღვინო, თუთუნა, შავი ქვა და სხ. — წაიღებს და მაგიერად არაფერს არ მოიტანს.
ერთი სიტყვით, დენიკინი — ჩინგისყავნსა და თემურლენგზე უარესი იქნება ჩვენი ქვეყნისათვის.
რა საშუალებით შეგვიძლია მოვიგერიოთ მტერი?
ყოვლის უწინარესად დროებით ყოველივე შინაური განხეთქილება უნდა შეესწყვიტოთ და გაერთიანებული ეროვნული ფრონტი უნდა შევექნათ.
მოლაღატე იქნება ის ვინც ამ საერთო განსაცდელის დროს საკუთარი გაჭირვების შესახებ ლაპარაკს დაიწყებს.
მდიდარი და ღარიბი, დიდი და პატარა, ნასწავლი და არა ნასწავლი — ერთად უნდა შეკრბეს სამშობლოს დასაცავად!
და ამ ხანად არ უნდა იყოს არც სოციალდემოკრატი და არც ეროვნული დემოკრატი, არ ბოლშევიკი და არც მენშევიკი... ყველა — სამშობლოსათვის თავდადებულ მებრძოლად უნდა გახდეს.
და, თუ დენიკინთან სიკვდილ-სიცოცხლის ომში ჩაბმა არ აგვშორდება, კარგს იხამდა ჩვენი მთავრობა, თუ კეთილ-ინებებდა და კოალიციურ სამინისტროს შეადგენდა, რომელიც უპირველესად — სამშობლოს დაცვას დაისახავდა მიზნად.
ეს მით უფრო მიზანშეწამლი იქნებოდა, რომ დღევანდელ პირობებში კოალიციურს, არა წმინდა სოციალისტურ მთავრობას უკეთ შეუძლია აწარმოოს საგარეო პოლიტიკა.
დიდი! პარტიის ინტერესი სხვერპლად უნდა შეეწიროს სამშობლოს ინტერესებს.
ვასილ წერეთელი.

ნიმე ჩხაიძის ასული
(25 წ. იუბილეს გამო.)
25 წ. რაც ნიმე ხელოვნებას ემსახურება. შემოქმედების ცეცხლით სწავს გულს და ძარღვებს, რომ სცენაზე ისეთი სახეები დაგვისურათხატოს, რომელიც ჩვენი ზნეობის გაფიქვებასთან ერთად, ჩვენს გონებას აღაშალოებს.
25 წლის, ე. ი. მეოთხედი საუკუნის, მოღვაწეობა და ნინოს არაფერი გააჩნია. მისი ცხოვრება ისეთ ფარგლებშია მოქცეული როგორც ყოველივე ჩვენთაგანის ჩვეულებრივი აღმზიანისა. ვისაც საფრანგეთში, თუნდაც მიყრუებულ პროვინციაში, უცხოვრია მას აღბათა გაუგონია თუ რა პატივსცემს ყოველი ფრანგი სარა ბერნარს.

ვის არ უნახავს სარა ბერნარის თეატრი; ამ მსახიობის სიმდიდრე, მისი კომფორტი, მისი „მთელ პარიზზე“ ცხოვრება.
ვინ არ იცნობს კლეო დე მეროდის სიმდიდრეს, კელუკობას, გვირგვინონებთან ცელქობას, თმის მივარცხნას და ფრანგები რომ იტყვიან მის „ტაბაკს“.
მთელი პარიზი იცნობს მსახიობ ქალის როზა დე მაისის Collier-ს წმინდა მარგალიტისას, მის მოგზაურობას მონტე-კარლოში სახელ განთქმულ რულეტის თაყვანსაცემლათ.

პარიზში, თუნდაც ლათინურ კვარტალში, რომელ ნაცხოვრებს, არ გაუგონია პარიეტა დე მანეის გარდერობის სიმდიდრე და ნაირობა.
კლემენტინა პიბრაკის ძვირფასეულობა, თუნდაც ღირსეული ბრიუსელში და ინგლისში „თავგასული“ ცხოვრება. და ყველა ეს იმიტომ, რომ გარდა ნიქისა, ევროპაში, მსახიობი თავის სახელს თეატრის ვარაუდებში, აზვიადებს.

მსახიობს სახელის მოსახვეჭათ, ნიქის „გასადვივებლათ“ ესაჭიროება ფურორი, სენსაცია.
ერთი ლაშთიანი სილა მოურიდებელ რეცეპტს, ახერხება და სათამაშოდ გამოსვლის წინ „როლის“ მიტოვება და „საბიენიკოთ“ ისპანიაში, ან იტალიაში გაპარვა; შემდეგ ანტრეპრენიორთან პროცესი, გაზეთების განგაში, ხმაურობა, ყველაფერი ეს საზოგადოებაში მსახიობისადმი ახალ განწყობილებას ქნის.

ყველა ისწრაფის მის მოსამენად, მის სანახავად.
ჩვენი ნუკა კი 25 წ. რაც ჩვენში მოღვაწეობს, საზოგადოება მას იცნობს როგორც უწყინარს, მარტვის და უპრეტენზიო მსახიობს.
ნუკას არც ქალაქში აქვს სახლი და არც ავარაკში, მას არ გააჩნია არც საკუთარი ეტლი და არც ავტომობილი.

ნუკას სიმდიდრე მისი ნიქია. იგი თეატრში ხალხს „ხერხით“ კი არ იზიდავს, არამედ ნიქით.
კერძო ცხოვრებაში იგი საუკეთესო დედაა, თავდაუზოგავი, მოსიყვარულე.

ნუცამ შეძლო ოჯახის და სცენის, ამ ორი პოლოუსის შერევა, შერევა.
როგორც ნიჭიერი მსახიობი და გულშემატკვარი დედა, იგი ღირსია ზენი პატივისცემისა, განსაკუთრებით საყვარელი და სათაყვანებელი ყოველი ქართველი ქალისთვის.

ჯ. ჯორჯია.

ნიწო ჩხიძე.

დღეს ქალაქის თეატრში დანიშნულია ნინო ჩხიძის 25 წლის იუბილემ დღესასწაული. დღეს ქართველი საზოგადოება შეიკრიბება ხალისიანად თეატრის დარბაზში, რომ თავის გულის გადაშლით და ინტიმურ გრძობების გაცხადებით უთხრას გამბარბარ სიტყვა ჩვენ ნუცას.

ფიროზის ქუთაისი მოიხიდავს დასავლეთ საქართველოს ამაყ შეილებს და შემოიკრებს მათ ნუცას გარშემო.

ძნელია დღეს ნუცას გასხივებულ სახის სახვებით შემოხაზვა.

დღის ზეიმი და გრძობის ნადიმი არ გვაძლევს ამის ნებას.

შეიძლება პატარა წერილების შემოყვალა. არა ჩვეულებრივია ნუცას სასცენო მოღვაწეობა. არა ჩვეულებრივია მისი ნიჭის სიფართე. და საერთო გამოცანა არაა განა ნიჭიერი ქართველი თითქმის უმრავლესობა მათგანი თავის საკუთარ სკოლას არ გამოსცდენია.

ასეთია ნუცაც.

მას არ გაუვლია დრამატული კურსები. არ უვარჯიშია სასცენო ხელოვნებაში ასეთ კურსებზე.

არ აუღია გაცვეთილები სახელ განთქმულ მსახიობთან.

პატარა ხანი დაპყო მხოლოდ პარიჟში. ეს საკმარისი იყო მისი ბუნებრივ აქტიურულ ნიჭის გაშლისათვის.

ეს საკმარისი იყო მისი სასცენო გემოს გაშალაშინებისათვის.

ნუცას სახე როგორც მსახიობისა პრობლემაა ჩემთვის.

მესმის განსვენებულ ნატ. გაბუნას მოვლენა, შემიძლია გამოვიცნო ვასო აბაშიძის პროფილი.

ორივე მათგანი შეილია ქართული კომედიის.

ხანუმა ქართული ნაწარმოებია.

ორივე მათგანი შექმნა და. ერისთავის და ავქ. ცაგარელის დროის შესაფერ კომედიებმა. ორივე მათგანს ასულდგმულებს ერთგვარი ტრადიციები. ორივე მათგანი გრძობს ერთგვარ ნათესაურ კავშირს ქართულ სულთან, სხვა სახისა ნუცას მოვლენა.

ნუცამ განსაკუთრებული განცდა შექმნა ქართულ სცენაზე.

მისი როლი ყოველთვის დრამატიზმით არის შეფერილი.

არ არსებობდა ქართული დრამა ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით და ნუცას ფაქიზი ნიჭი უკვე ვარჯიშობდა ქართულ სცენაზე.

დრამა მთელი ეპოსია.

მასში უსათუოდ არის ჩაყვრილი ერის მოძრავე სული, ინტიმური განცდები, დამახასიათებელი თვისებები.

ეროვნულ თვისებების გაპიროვნება, ხორცის შესხმა მსახიობის მოვლეობა. მსახიობი კარგავს ინდივიდუალ სახეს როლის თამაშში, ქმნის ჩვენთვის მისაღებ და საცნობ განცდებს.

ნუცამ უცხო დრამაში გაშალა ნიჭი, უკანასკნელს არ დაუკარგავს მომხიბვლელობა.

ამაშია მისი სიძლიერე.

ნუცას არ შეუქმნია ეროვნული ტიპის სახე, მაგრამ შექმნა ნორას, მედიის და გოტიეს სახე. ეს არაჩვეულებრივ მსახიობის ხედვრია. მაგალითად გოტიე სრულიად არ არის დამახასიათებელი ქართულ ეროვნულ ცხოვრებისთვის, ისეთ ტიპს არ იტნობს ქართული საზოგადოება.

არც არსებობს ისეთი წრე ჩვენში, რომ ასეთი ტიპი წარმოშვას, მაგრამ ნუცას არაჩვეულებრივმა ნიჭმა მაინც დაგვიახლოვა გოტიე, მაინც შეგვაყვარა მისი ღრმა გატაცებული გული:

მიზღვი ნუცას განსაკუთრებული ტემპერამენტია, დაუცხრომელი პათოსი და სიტყვის შეყვარება არის ერთი თვისება, რომელიც ამ სამ ხასიათს არიგებს ერთმანეთთან, არ აძლევს ნებას ერთმა მეორეს გადააქარბოს.

ეს არის მის მიერ ზომიერების დაცვა.

ეს უპირველესია ზომიერება სიცილში, ზომიერება ტირილში, პლასტიურ რხევებში და სახის მეტყველებაში.

ნუცას აქვს ერთი დიდი დამსახურება ქართულ საზოგადოების და საერთოდ ქართულ აზროვნების განვითარების წინაშე.

ნუცას ცრემლები ყოველთვის ფაქიზ გრძობებს აღვივებდა ჩვენში. ნუცას „ზინაბა“ და „ქეთვანა“ ბევრი ჩვენგანი აატირა.

ეს იყო შეიძლება საუკეთესო წუთები ჩვენ პატრიოტულ გატაცებაში.

ნუცას ბევრჯერ დაუტკბივართ ნამდვილ ხელოვნურ თამაშით, მის მიერ შექმნილი სახეები უკვდავი იქნებიან ქართულ სცენაზე; მუდმივი მაგალითები მომავალ თაობისათვის. და დღეს 25 წლის მოღვაწეობის თავზე ჩვენ არ შეგვიძლია არ მოულოცოთ ეს დღე. არ შეგვიძლია არ მოულოცოთ თავისუფალი ქართული თეატრი, რომელიც ბნელ ღამეებში დააგვირგვინა დამწვარ სიყვარულით.

შალვა აფხაიძე.

ნიწო ჩხიძის იუბილას გამო.

დღეს როცა ქართველი ერის შეგნებული ნაწილი ზეიმობს მონობისაგან თავდაღწევას, ყოველი პიროვნება, რომელიც ხელს უწყობდა განვლილ შებნელ ხანაში მის სულიერად გაღონიერებას, კმაყოფილი უნდა იყვეს, რომ ფუქთ არ ჩაუვლია მის შრომას, მის ნაცადს.

ნინო ჩხიძე ერთი იმთავანია, რომელიც თავგანწირულებით ემსახურებოდნენ ქართველ ერს საშინელ მონობაში მყოფობის დროს მის სულიერად გაღონიერებისათვის. ოცდა ხუთი წლის განმავლობაში იგი მძიმე პირობებში მოქცეული შრომობდა და თავის მომხიბლავი ნიჭის ძალით უამებდა ტკივილებს გულდაჩაგრულ მონა-ერს. გადაგვარებისაკენ მიქანებულ ქართველობას აგონებდა მის ვინაობას, აყვარებდა თავის სახეს, ამხნევებდა მას, უღვიძებდა თავის თავის რწმენას და პატივისცემას, მოსაგდა იმედით და დაცემულ სულს მაღლა სწევდა.

შრომას უნაყოფოდ არ ჩაუვლია. მძიმე შრომის გარდამხდელი მშრომელი ბედნიერია თავის თვალთ რომ ხედავს ბრწყინვალე ნაყოფს გაწეულ შრომისას და ნინო ჩხიძის ოცდახუთი წლის მოღვაწეობის თავი მისთვის სასიხარულო ჩვენთვისაც სასიხარულოა, ეს დღე მისი დღესასწაული — დღესასწაულია მისთვისაც ვისაც ქართველი ერისათვის სიკეთე სურს; ამიტომაც გულით ვეგებებით ამ დღესასწაულს და შეესახებთ აღტაცებით ძვირფას მოღვაწეს ვაშას და ვუსურვებთ დღეგრძელობას.

დავ. კლდიაშვილი.

კალგასტონი ნინო ჩხიძე.

ევროპის თეატრმა უკვე განიცადა გადატეხა. ევროპის თეატრი ახალ გზის ძიებაშია.

ხელოვნების მხრით საქართველოში გადატეხა მოხდა მხოლოდ პოენიაში, თეატრი კი ისევ ძველი გზით ბოგინობს. გიორგი ერისთავიდან დაწყებული დღემდე ჩვენი თეატრი ერთ გზას ადგია, და თუმცა ამ გზას ხავსი მოყვიდა, ობობებმა დაქსელეს ძველი თეატრის ფარდა, ქართული თეატრი მაინც განაგრძობს ნატურალიზმის ზურგ ატყაულ ცხენით ჩოჩი-ალს.

ა. ცაგარლით მოხდა ნატურალისტურ თეატრის ისეთი ახგავნება და გაშლა, რომლის შემდეგ მისი დაქნობა ლოლიკური და აუცილებელი იყო. ეს დაქნობაც მოხდა. და მას აქეთ ქართულ სცენას, როგორც მომავლადეს კამფართ, სულს უღვამენ შიუკაშვილის, გედევანიშვილის და სხვათა „მომენტის შესაფერ“ უხეირო პიესებით.

შეცდომაა რამის მეორე შეკოლათ აღიარება. ალბათ ხშირათ გაგიგონიათ ბანაღური ფრაზა: „თეატრი ცხოვრების სარკეა“, „თეატრი მეორე შეკოლა“, „თეატრი გვასწავლის ცხოვრებას“ და სხვ. თუ ამ გზით იარა თეატრმა, რცენი-

დან მალე დაინახეთ კოლოპორაციის გარკვლების მიზნით დაწერილ პიესას.

ნატურალისტურ თეატრის განვითარება ყოველდღიური და უფროული სურათი რამაზე გადასახდა. ნატურალისტურ თეატრში მოკლებულ მაყურებელს მოსწონს ნატურალიზმი სცენაზე და ალბათ გაგიგონიათ როცა ის შემობრუნ სკამზე მჯდომს ყველგან გადაუღაპარაკებს:

— „ძანაა ყმაწვილო! პირდაპირ ჩვე ამბავია გამოყვანილი“.

დღევანდელი თეატრი ამ ყმაყოფი მაყურებლის ტეატრია. დღევანდელი თეატრი პეტრეს და პავლეს თავგადასავალ მდამბეა.

თუ დრამას, და საზოგადოთ სამ კვლელ შუა მომწყვედულ რამბას მომავალი აქვე ყოველ შემთხვევაში მისი მომავალი ნატურალიზმი და რეალიზმი არაა.

ის მოვლენა, რომ ხალხს — განსაკუთრებით ახალგაზრდობას — უყვარს აქტიობები, აიხსნება მით, რომ მათთვის ძვირფასია აქტიობათა ფერცვალეობა, გრიმი პარიკები, აქტიობის უცნაურობა.

სწორეთ ამით აიხსნება ის სიყვარული რომელსაც ყველა ქართველი გრძობს ქალბატონ ნინო ჩხიძისადმი.

ქ. ნინო ჩხიძე ხშირათ გვიჩვენებს რელიტურ დრამაშიც, მაგრამ იქაც კი გვიგრძენია მისი უცნაურობა. სწორეთ იყო ის, რითაც განიჩეოდა სხვებისაგან და რაც სხვებზე მაღლა აყენებდა მას.

ქ. ნინო ჩხიძეზე ალბათ ბევრს დასწერენ, რომ ის ჩვენი სცენის სიამაყე და ვარსკვლავია, მე კი ვიტყვი მშუბარებით — ქ. ნინო ჩხიძე აღრე დაიბადა საქართველოში, მის დაბადებას მეტი კულტურული ნიადაგი ეჭივრებოდა.

ძვირფას მსახიობის გახსენებასთან ერთად მე ვრწმუნდები, რომ ქართველ ხალხში დიდი ცეცხლია დაფარული, დიდ უცნაურობაა ჯერ კიდევ გაუშვლანებელი, დიდი მისტირებია რომელმაც უნდა აღმოხეთქოს და ერთიან ზღაბრულ რამბას გარდაქმნას ძვირფასი საქართველო.

მე გამოვსთქვამ მხოლოდ ერთ სურვილს — მომავალ თეატრში, სადაც რამბა სწორ სახეს მიიღებს, ქართულ სცენას ყოლოდეს ისეთი ღირსეული მსახიობი როგორცაა ქალბატონი ნინო ჩხიძე.

ს. კ.

სიზმარი ტაუში!

... გულნატკენი ზღვის პირად გაშლილი შავი ტყის სივრცეში ვერცხლის ღილებ დაბნულ ყვავილებს ვკრფდი, აღმოსავლეთის ცხელი მნათობის დატეხილი ისრები თავზე რომ დამადგა.

მე მეშინია ცხელი მნათობის, თავისუფალ სულთქმას რომ მსტაცებს და ახლად გადაშლილ სურნელოვან ყვავილებს ვერცხლის ღილებს რომ აძრობს.

მინდა გავიქცე...

გულ-ნატკენ ზღვას თავი შეეფარო, — რომ ჩემს წინ აღიმართა ზღვის ქლექიანი ასული...

შენ გეშინია აღმოსავლეთის მნათობის დატეხილი ისრები, — ახლად გადაშლილ სურნელოვან ყვავილებს ვერცხლის ღილებს რომ აძრობს?..

და შავად ჩამოშლილი თემებით დამჩრდილა.

ყვავილები მომწყდა ხელიდან...

დადნა ვერცხლის ღილები...

მეშინია!..

დასთმე აქაურობა, ბორბტების სამეფო, სადაც აღმოსავლეთის მნათობის დატეხილი ისრებიც კი ღრღნის შენს დასევდიანებულ სულს.

მე მოგცემ ბინას ზღვის უსახვრო სივრცეში, სადაც ვჭრავინ დაგირღვევს მყურდროებას.

იქ აზვირთებული ტალღები მოგიტხრობენ მარადიულ სიყვარულს ზღვის ასულებსისას.

დასთმე აქაურობა...

იქ უკვდავი იქნები, როგორც ჩვენ, — ზღვის ასულები.

წამოდი ჩემთან იქ, ზღვის სივრცეში.

და ზღვის ასულმა ზღვის სივრცეში შემატურა.

შემეციდა...

და რომ წამოვდექი ჩემს ოთახში ვიყავ.

შავი ტყე. დატეხილი ისრები. შიში. სიცივე. ზღვის ასულის მოჩვენება და ყველაფერი სიზმარი იყო.

სიზმარი ტყეში!..

და ვხლაც მეშინია აღმოსავლეთის მნათობის, — თავისუფალ სულთქმას რომ მსტაცებს და სურნელოვან ყვავილებს ვერცხლის ღილებს რომ აძრობს.

ნიკ. ასათიანი.



გერმანული პრესის ცნობები.

საქ. დეპ. სააგენტო.
გერმანიის სახელმწიფო პრესის ცნობები, რომელიც ვერსალში ოთხშაბათს გადასცემს, იწყება ლიბერალური, ბონარ-ლოუს, პიშონის და ვილსონის სიტყვებიდან ამოღებული ადგილებით. ამით მტკიცდება, რომ მოკავშირეთა მისწრაფებათა გამოხატულები იზიარებენ ვილსონის შეხედულებას. 1917 წ. აპრილის 2-ს ვილსონმა განაცხადა, რომ მოკავშირეები გერმანიის ხალხს კი არ ებრძვიან, არამედ გერმანიის იმპერიალიზმს და რომ გერმანიის შვილობიან განვითარების საწინააღმდეგო არაფერი აქვთ. ამის გამო გერმანელი ერთი მოწოდება სამართლიან და არა გამანადგურებელ ზავს.

პროფესიონალურ კავშირთა საერთო კომისია იენისის 30-ს ნიურნბურგში იწვევს პროფესიონალურ კავშირთა ყრილობას, რომელიც 7 დღე გაგრძელდება. მომენტზე მოხსენებას წაიკითხავს თავმჯდომარე ლეგენი, რომელიც ამ უმაღლეს ვერსალშია, როგორც გერმანიის დელეგატი.

იტალიური პრესა.

საქ. დეპ. სააგენტო.
ოთხთა საბჭომ გუშინ ავსტრიისთვის შემუშავებულ ხელშეკრულების ეკონომიური პირობები განიხილა. რის შემდეგაც დაადგინეს მოისმინონ ჩხო-სლოვაკთა, სამხრეთ სლავიანთა და რუმინის დელეგაციის მოხსენებანი. შუადღის სხობაზე საბჭო გაცნო ბროკდორფ-რატუს 2 ნოტას საარსოვლის შესახებ და დაადგინა შედგინაოს დაწვრილებითი პასუხი, რომელიც ხვალ უნდა გადაეცეს გერმანიის დელეგაციას. ძირითადი პრინციპები არ შეცვლილა და ცვლილებებს შეიტანენ მხოლოდ იმ პირობებში, რომელიც გერმანელების მიერ ზარალის ანაზღაურებას შეეხება.

პარიზიდან იუწყებიან, რომ გერმანიის ფინანსიურმა კომისიამ პარიზზე გაიარა და ვერსალში გაემართა.

ინგლისური პრესის ცნობები.

საქ. დეპ. სააგენტო.
სამხრეთ აფრიკამ საკუთარი ფულის ქრის ნება მიიღო.
გერმანიის 20 წყალქვეშა ნავს სკოისს ყურეში გაანადგურებენ.
იოკაგამოში ცეცხლი. 2000 სახლი განადგურა. ქალაქის ის ნაწილი, სადაც უცხო სახელმწიფოთა წარმომადგენელი სცხოვრობენ, უვნებელი გადარჩა.
სტამბოლში დაიწყო გასამართლება უნიონისტთა 12 მეთაურისა, მათ შორის ყოფილ სეაჩეო საქმეთა მინისტრის ხალილ ბეისაც. ესენი ყველა სამხედრო სამართალში არიან მიცემულნი. საბრალდებლო ოქმში ჩამოთვლილია მრავალი ბოროტება, რომელიც მათ სომხების მიმართ ჩადინეს. ბრალდებულთა შორის არიან ენვერი, თალათი და ჯემალი. რომელთაც ვაქცევა მოასწრეს და რომელთაც მათ დაუსწრებლათ გაასამართლებენ, გამოუცხადებლობის გამო.

ფრანგული პრესის ცნობები.

საქ. დეპ. სააგენტო.
ვახ. „ტან“-ს ბერლინელი კორესპონდენტი აუწყებს, თუ გერმანიაში როგორი სულიერი განწყობილება სუფევს და როგორ ამხინჯებენ სინამდვილეს: „მე მოვიყვან მხოლოდ ერთ მავალითს, რომელსაც გაბედული ჟურნალისტი გერლახი აღნიშნავს“ გერმანულ გაზეთში. ცნობებია, რომ მოკავშირეებმა გერმანიას მოსთხოვეს 140,000 მეწველი ძროხა, რომელიც 4 თვეში უნდა გადასცენ. გერმანიის მთავრობამ ეს უმაღლეს დაუნდობლობად ჩასთვალა და განაცხადა, რომ ეს გერმანულ რასის განადგურების და ბავშვების ამოსახოც საშუალებებია“.

ბოლშევიკების ცნობები.

მოსკოვი. 28 მაისი. გამოვიდა „ც. კომუნისტურ პარტიის იზვესტია“-ს პირველი ნომერი. ც. კომიტეტის დადგენილებით „იზვესტია“ პრადსთან ერთად ყოველ კვირეულად გამოვა. გაზეთი მხოლოდ პარტიული მუშაობისთვის არის. „იზვესტიაში“ გამოქვეყნდება პარტიულ მობილიზაციის შედეგები. მობილიზაცია კარგად ტარდება. კოლხის შემოტევამ გვიძულა საუკეთესო ძალები ფრონტზე გავგებავნა, რის გამო ზურგში კონტრრევოლუციასთან ბრძოლა გაძნელდა. მოხდა აჯანყება და გაფიცვა. თეთრგვარდიელების აგიტაცია მერყევე სოციალისტური პარტიის დახმარებით იზრდება, რის გამოც „დელინაროდ“ და „ვესეღ ევერიოდი“ დაიხურა. ზოგიერთი ესერები და მენშევიკები დაქვრივდა. ამ პარტიის ზოგიერთი წევრი კი საბჭოთა მთავრობაში მუშაობს. სამხედრო ცნობა. 28 მაისი. ჩრდილოეთის ფრონტი. შენკურსკის მიმართულებით მძიმე არტილერია ღრამამოშვებით მოქმედებს. დასავლეთის ფრონტი. ნარვის მიმართულებით მარტინოვის რაიონში ბრძოლაა. ლუგის მიმართულებით, სოფ. კრასნაია გორკის რაიონში ბრძოლაა. ვსკოვის რაიონში ესტონის წითელმა ჯარმა ახალი პოზიციებისკენ დაიხია. მარიენბურგის მიმართულებით წითელმა ჯარმა ახალი პოზიციები დაიჭირა პონევევის რაიონში ბრძოლაა. ლუნიეცის რაიონში მოწინააღმდეგე ჩვენი ჯარი შევიწროვა. სამხრეთის ფრონტი. ტავანროგის მიმართულებით ჩვენმა ჯარმა მდ. მოკრაია-ბელოსარის ხაზი დასტოვა. ჩრდილოეთით ჩვენ მალი იანისალი და სოფ. ხლეზდაროვკა დავიჭირეთ. იუზოვო მარიუპოლის რკინის გზაზე სად. გრიშინთან ჩვენი შეტევა გრძელდება. იუზოვო ბახმუტის მიმართულებით ჩვენ სადგ. პეტრუპკი, ბატმანკა და სოფელი კორსუბი დავსტოვეთ. დებალცევოს რაიონში ჩვენმა ჯარმა სადგ. პეტროვეცის აღმოსავლეთით ახალშენები დაიჭირა. კაშენსკის რაიონი. სადგ. გლუბეკოვს ახლო ბრძოლაა. აქ მოწინააღმდეგეს დიდი ძალა ყავს, რომელიც დონეცის მარცხენა ნაპირზე გადავიდა. ნიჟნეკუნდრუჩევსკთან ჩვენმა ჯარმა დონეცის მარცხენა ნაპირისაკენ დაიხია. ველიკოკანიავის მიმართულებით მდგომარეობა არ შეცვლილა.

საქონლის გასვლა-გამოცვლა მოკავშირეებთან.

ფათი. მაისის 28. მაისის 26 საღამოს მოვიდა ფრანგების გემი „ანატოლიე“ და ჩამოიტანა საქართველოს მთავრობისათვის დიდძალი მანუფაქტურა და ფახსაცმელები, სამაგიეროდ გემს გააქვს საქართველოდან მატყლი, ბამბა და აბრეშუმის პარკი. გემი უკვე იტვირთება მატყლით. მოვილიან კიდევ საზღვარ გართიდან ორ გემს.

ახალი აგზაუპი

ა თ თ ა ი ს ი.
◆ ნინო ჩხეიძის იუბილე დღეს. ქუთაისში ცნობილ მსახიობ ქალს გადაუბინა 25 წლის სასცენო მოღვაწეობის გამო იუბილე—დღესასწაულს.
◆ შევარდენთა დღია. 30 მაისს რეალური სასწავლებლის ეზოში იმავე სასწავლებლის დარბაზში მოწაფეთა სასარგებლოდ გაიმართა შევარდენთა დღია. შევარდენთა ვაჯიშობამ საზოგადოება მეტად ასიამოვნა.
◆ მილიციის რეორგანიზაცია ამ დღეებში ქუთაისში მოხდება მილიციის რეორგანიზაცია.
◆ მატარებელზე თავდასხმა. ქუთაისის საოლქო სასამართლოს პროკურორი იუსტიციის სამინისტროს ატყობინებს, რომ 20 მაისს სად. კობიტარის

ახლოს თავს დაესხნენ ბოროტ-გამზობა ხელნი სამგზავრო მატარებელ № 6-ს. გაძარცვეს მგზავრი ცხვარაძე. დაჭრილნი არიან სად. რიონის მილიციონერი შენგელია და აფიკერი თალაკვაძე.

ვაჭრობა-მრეწველობა.

სავაჭრო-სამრეწველო საზოგადოება, რომლის დაარსებას თაოსნობს ბ. ტიტე მარგველაშვილი დიდ ნიადაგ პოულობს ქუთაისის ვაჭრებშიც, როგორც ეს მოსალოდნელი იყო აირჩა საორგანიზაცია კომიტეტი ქუთაისისთვის, სადაც თავმჯდომარეობს ს. ნ. ბანკის თავმჯდომარე ბ. პ. უზნაძე. კომიტეტმა გაიხილა და მოწონა წესდება. დაასახელა ცნობილი ვაჭრები საზოგადოების დამფუძნებლებად; შეუდგა საორგანიზაცია ხარჯების გათვალისწინებას და თავის ვრცელ მოხსენებას სამი დღის დაუღალავ მუშაობისან წარუდგენს ქუთაისის ყველა ვაჭრების კრებას, რომელიც მოწვეულია დღეს, კვირას, 1 ივნისს დილის 11 საათზე ვაჭრების ბანკში.

აზერბაიჯანი.

იტალიელები მთიელებთან
მაისის 23 საღამოს 4 საათზე იტალიის მისიის უფროსმა პოლკოვნიკმა გაბბა ინახულა მთიელთა რესპუბლიკის დიპლომატიურ წარმომადგენლის მოადგილე მოლლახისანი. პოლკოვნიკმა სთქვა რომ თბილისში მას ესიამოვნა მთიელთა რესპუბლიკის წარმომადგენლის ნახვა. მან მწუხარება გამოსთქვა, რომ არა აქვს საშუალება მთიელების გამო იგი პარიზში უნდა წავიდეს. პოლკოვნიკმა იმედი გამოთქვა, რომ კონფერენცია სულ ახლო მომავალში გადაწყვეტს პატარა ერების ბედს და იტალია სწორედ პატარა ერების კანონიერ მოთხოვნების მომხრე იქნება. საპასუხო სიტყვაში ბ-ნ მოლლახისანმა აღნიშნა რომ მთიელთა რესპუბლიკა მოუთმენლად ელის მტრე ერების ბედის გადაწყვეტას. „მთიელები ვიმედოვნებთ, რომ ის ხალხი რომელსაც გარიბალდი ჰყავდა გაიგებს სულსკვეთებას მთიელებისს, რომელთაც წმინდადაა აქვთ შენახული შაჰილის ალტჰმა.

დენიკინის წინსვლა

ბაქოდან მიღებული ცნობებით დენიკინის ჯარი დარუბანდის ადგილს შემდეგ ბაქოსაკენ მიიწევს. იტალიელების პატივსაცემად გამართულ ბანკეტზე მოხალისეთა გენ. ერდელმა განაცხადა, რომ ბაქო და აზერბაიჯანის ძალები ბოლშევიკების წინააღმდეგ უნდა გამოვიყენოთ.

ქ. ქუთაისის სახალხო მილიციის რეორგანიზაცია.

ვინაიდან დღეს დღეობით, როგორც მკითხველმა იცის, სახალხო მილიცია ქუთაისისა უკვე რეორგანიზაციის ხანას მიაღწა ზედ მეტი არ იქნება სახალხო მილიციის ორგანიზაციის შესახებ ერთი ორი სიტყვა ვსთქვათ.
როდესაც კაცს ახალ რამეს მიაწვდი ძველის მაგიერათ, ძველის დასწრებელი საბუთები უნდა უჩვენო, რომ მან ახალი ირჩიოს, მაგრამ, კაცი კი უნდა ეცადოს ახალი სისტემა და ახალი ორგანიზაცია ძველს სჯობდეს, და ანთავისუფლებდეს და შეღავათს აძლევდეს როგორც მოსამსახურეებს აგრეთვე ხალხსაც.
დღევანდელ დღემდე არსებული მილიცია თავისი წყობილობის სისტემით არაფრით თითქმის არ განიორჩეოდა ძველ პოლიციისაგან და ეს იმიტომ კი არ მომხდარა, რომ მთავრობისაგან ეს სისტემა მოწონებული იქნა, არამედ მოხდა იმიტომ რომ ანარქიისა და სხვადასხვა ბოროტმოქმედების ასალავმავათ საქირო იყო ძალა, და რა სისტემის იქნებოდა ძალა მაშინ კი ეს სულ ერთი იყო, თუ კი მოიპოვებოდა რაიმე მჭიდრო ორგანიზაცია, რომელსაც შეეძლებოდა ხალხისა და მცხოვრებლების დაცვა. და აი ამი-

ტომაც მაშინ, სახელმწიფოს დაცვის, და მისი მოწყობისათვის მომომუშავე პირთ, ვიტყვი, თითქმის არა ქონდა არა მოემუშავებათა სისტემა, რომელიც ითვებოდა ხალხთა დაცვა, ეს უკეთესი თი დარგი ხალხთა კეთილდღეობისა.

ესე იგი მილიცია დღევანდლამდე ისევე ძველ პოლიციის ფარგლებში იყო და რადგანაც მე ვლამარაკობ მარტო ქალაქის მილიციის შესახებ, მაშასადამე მოვიყვან შედარებით სქემას ქალაქის პოლიციისა და მილიციისა.

პოლიცია (ძველი) მილიცია (ახალი). პოლიცემისტერი — ქალაქის სახალხო მილიც. უფროსი.

თანაშემწე — თანაშემწე.

ცენტრალურ უბნის პრისტავი — კომისარი ცენტრალ. უბნის

სამთო უბნის პრისტავი — კომისარი სამთო უბნის

წყალგალმა უბნის პრისტავები — 2 კომისარები

მათი საქმის მწარმოებლები — საქმ. მწარმოებლები

გოროდოვოები — მილიციონერები.

ამ სქემიდან ჩანს რომ თითქმის ძველ შტატსა და ახალ შტატს შორის თითქმის არავითარი განსხვავება არ ყოფილა, ასე რომ როგორც წინათ ისე ეხლაც სდებოდა ისეთი შემთხვევები რომ თუ თავში მდგომი კაცი პოლიცემისტერი ან ეხლა მილიციის უფროსი სუსტი გამოდგებოდა, მთელი ქალაქის ადმინისტრაციის საფუძველი შეირყოდა ხოლმე და მას ბოლოს და ბოლოს სჭირდებოდა ან სრულიად გამოცვლა ანდა უნდა ექმნათ ისეთი კაცი, რომელსაც თავისი ვაჟაკობით, უშიშრობით და ზემოთცხებული ნიჭით ადმინისტრაციის საქმე ისევე ხელში დაეჭირა, ხალხის დაცვა კარგათ მოეწყო და თავ აშვეებული წერილი ადმინისტრატორები აელავა, მაგრამ, ეს ძალიან ძნელი საქმეა და ძნელიც არის ისეთი ადამიანის გამოძებნა, რომელიც სპეციალურ ადმინისტრაციული ნიჭით დაჯილდოვებული იყო, ამისათვის საჭიროა არა ასეთი ხალხის ძებნა, კიდევაც რომ მოეძებნოთ ეს დროული იქნება, მაშასადამე ჩვენ უნდა შევქმნათ ისეთი სისტემა და პროგრამა, რომელიც მოსამსახურე პირს მიუხედავად ბრწყინვალე ადმინისტრაციულ ნიჭისა და გამოცდილებისა მისცემს საშუალებას აასრულოს მასზედ დაკისრებული მოვალეობა არა მარტო კარგათ და ლამაზათ არამედ უანგაროთ და კეთილსინდისიერათ. ადმინისტრაციის საკითხში ახალი ჯერჯერობით არაფერია მაგრამ, ვინაიდან ძველი რუსეთის პოლიცია სრულიად არაფრად არ ვარგოდა, ჩვენ უნდა ავიღოთ მთელი იგი რომელიმე ევროპულ სახელმწიფოდან, ან და უნდა ვისარგებლოთ შეერთული მასალით ერთი ერთისაგან მეორე შეორქსავს.

ზედმეტი არ იქნება ვსთქვათ აგრეთვე სისხლის სამართლის მილიციაზედაც.

საქართველოს რესპუბლიკაში ჯერჯერობით სისხლის სამართლის მილიცია და სახალხო მილიციის მმართველობა თითქმის ერთნაირ ფუნქციებს ასრულებენ მიუხედავად იმისა, რომ ადმინისტრაციული დებულებანი (Положение) ნათლივ ყოფენ ორ ნაწილათ როგორც ერთის ისე მეორის ფუნქციებს.

საფრანგეთისა და ამერიკის პოლიცია დღეს დღეობით პირველ საფეხურზედა სდგანან. ჩვენ შეგვიძლიან ვსთქვათ რომ ერთი მსგავსება არის ჩვენსა და საფრანგეთის პოლიციის შორის: საფრანგეთში ქალაქის ადმინისტრაცია ქალაქის მერის (ქალაქისთავი) და ქალაქის გამგეობის ზედამხედველობის ქვეშ იმყოფება და აქაც ხომ ეხლა ხან ასე მოხდა და რადგანაც დასაწყისში მსგავსებაა ბოლოშიც რომ ჩვენი სახალხო მილიცია საფრანგეთის პრეფექტურის მსგავსება ავაშენოთ დიდი და განუსაზღვრელი სარგებლობა იქნება ნორჩ საქართველოს რესპუბლიკისათვის.

